ბრძანება:**ბ17. 01232111**

თარიღი:**30/07/2023**

განცხადების ნომერი: 01231942243-17
განცხადების თარიღი: 13/07/2023

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :01.14.01.008.029
- მისამართი :ქალაქი თბილისი, ელიზბარ მინდელის ქუჩა, N 7ბ

განმცხადებელი-დამკვეთი :კახაბერ არაბიძე
პირადი ნომერი :18001001330
მისამართი :თბილისი ილია ჭავჭავაძის გამზ. N 78 სახლი 4 ბ. 2

ნომენკლატურა :სამართლებრივი საკითხები სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების დროებითი წესის მიზნისთვის ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში /

მოთხოვნის შინაარსი
- მოთხოვნის ტექსტი : ჩვენს მიერ წარმოდგენილ გეგმაზე ოფისის ფართი მითითებული იყო შეცდომით. კერძოდ , ნაცვლად 1103.8 კვ.მ მითითებული უნდა ყოფილიყო 807.1კვ.მ. ასევე მოხდა გამორჩენილი ნომერის მინიჭება. წარმოგიდგენთ ახალ გეგმებს და მაჩვენებლებს. გთხოვთ შეიტანოთ ტექნიკური ხასიათის ცვლილებები. ახალი მაჩვენებლები : საერთო ფართი - 14799.6 საცხოვრებელი ფართობი - 8314.67 კვ.მ საზაფხულო ფართობი - 1768.26 კვ.მ საოფისე ფართობი - 1157.65 კვ.მ ავტოსადგომის ფართობი - 1009.25 კვ.მ კიბის უჯრედი და სადარბაზო - 2141.35 კვ.მ კომერციული - 408.4

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 20 დეკემბრის №ბ17. 01223542 (12.07.2023წ. №ბ17. 01231932) ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 20 დეკემბრის №ბ17. 01223542 ბრძანებით ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ქ. ელიზბარ მინდელის ქუჩა, N7ბ-ში (ს/კ N01.14.01.008.029) მდებარე სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობადამთავრებული ობიექტი (მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული), საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 141^3 მუხლის შესაბამისად. ამის შემდგომ, მუნიციპალური ინსპექციის 12.07.2023წ. №ბ17. 01231932 ბრძანებით შესწორდა ტექნიკური ხარვეზი 2022 წლის 20 დეკემბრის №ბ17. 01223542 და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად 14574.93 კვ.მ.-ს ნაცვლად დაფიქსირდა 14745.73 კვ.მ., საოფისე ფართობად 701.1 კვ.მ.-ის ნაცვლად - 1103.8 კვ.მ.; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2176.7 კვ.მ.-ის ნაცვლად - 2141.3 კვ.მ. და ავტოსადგომის ფართობად 1205.8 კვ.მ.-ის ნაცვლად - 1009.25 კვ.მ.; ასევე 2022 წლის 20 დეკემბრის №ბ17. 01223542 ბრძანებაზე თანდართული გეგმები ჩანაცვლდა N0123177788-17 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით. მუნიციპალური ინსპექციის №ბ17. 01223542 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი.

2023 წლის 13 ივლისს მუნიციპალურ ინსპექციას N01231942243-17 განცხადებით კვლავ მომართა მოქ. კახაბერ არაბიძემ და მოითხოვა მუნიციპალური ინსპექციის ინსპექციის 2022 წლის 20 დეკემბრის №ბ17. 01223542 (12.07.2023წ. №ბ17. 01231932) ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის შესწორება. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ 0123177788-17 განცხადებით წარმოდგენილ -6,00 ნიშნულის გეგმაზე არასწორად მიეთისა საოფისე ფართის მაჩვენებელი, რის გამოც №ბ17. 01231932 ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა საოფისე (ნაცვლად 1157.6 კვ.მ.-სა დაფიქსირებულია 1103.8 კვ.მ.) და საერთო (ნაცვლად 14799.6 კვ.მ.-სა დაფიქსირებულია 14745.73 კვ.მ.) ასევე განმცხადებელი ითხოვს ბრძანებაზე თანდართული გეგმების ჩანაცვლებას წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით, რადგან გეგმების ნაწილზე გამორჩენილ იქნა ფართების ნუმერაცია.

მუნიციპალურმა ინსპექციამ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის

მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, განიხილა განმცხადებლის მიერ 2023 წლის 13 ივლისს მუნიციპალურ ინსპექციაში N01231942243-17 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული გეგმები, შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და დაადგინა, რომ წინამდებარე დოკუმენტაციით არ იცვლება გეგმარება, ხდება გეგმების ნახაზებზე ფართების ნუმერაციის დაზუსტება და საოფისე ფართის მაჩვენებლის შესწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები. შესაბამისად, მუნიციპალურმა ინსპექციამ მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ინსპექციის 2022 წლის 20 დეკემბრის №17. 01223542 (12.07.2023წ. №17. 01231932) ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ინსპექციის 2022 წლის 20 დეკემბრის №17. 01223542 (12.07.2023წ. №17. 01231932) ბრძანებაში და ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები საერთო ფართობად დაფიქსირდეს - 14799.6 კვ.მ.; საოფისე ფართობად - 1157.65 კვ.მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 20 დეკემბრის №17. 01223542 (12.07.2023წ. №17. 01231932) ბრძანებაზე თანდართული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ,,ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში“ წარმოდგენილი გეგმებით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 20 დეკემბრის №17. 01223542 (12.07.2023წ. №17. 01231932) ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ინსპექციის 2022 წლის 20 დეკემბრის №17. 01223542 (12.07.2023წ. №17. 01231932) ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე
(მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი